

„დროების“ რედაქცია — სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რადოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дрoвa“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ. 50კ., 4 თვ.—4 მ., 3
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

(ცალკე) ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპიკი.



გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე
8 კ.; პირველზე 16 კ. სრული უგანსხვადი გვერ-
დი 25 მანათი; პირველი 50 მ. რედაქციაში სტრიქო-
ნებისა ითვლება მათგან დაქვრივად რადიკალურად
ლობაზედ.

თუ საქართველოში მოთხოვნილი რედაქციაში დაქვრივად
ღირს დასაბუჯად გამოქვეყნდეს წიგნებს. დაქვრივად
ღირს რედაქციაში დაქვრივად რადიკალურად.

Объявления изъ Россiи, Царства Польскаго и за-
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.
Л. Метцль. Москва, Петровка, № 6.

პართული თეატრი
დღეს, აპრილის 28-ს
ქართული დრამატული დასისაგან წარ-
მოდგენილი იქნება:

I
ახლანდელი სიყვარული
სცენები ყოველ დღიურ ცხოვრები-
დამ 4 მოქმედ.

II
გეგლიზი იტალიელებით
ოპერეტა 1 მოქმედ. მუზიკა ოფენ-
ბახისა.
ანტრაქტებში დაუკრავს ორკესტრი
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზე.

საშაბათის, აპრილის 30-ს
საზამთრო გრაჟიკის ზღაპრში გამარ-
თული იქნება საღამო

სამველ-მომკვედო განზრახვით.
საუკეთესო მოღვეურენი ითამაშე-
ბენ ლეპსის და დაუკრავს საზანდა-
რი.
ბილეთები წინადაც იყიდება შა-
ვერდოვის პავილიონში. „საღამოს“
დღეს ბილეთების მიღება შეიძლება
გრეჟიკის შევიცართან.
ბილეთის ფასი ერთი მანათი.

ცხელი-ცხელი ამბები

მოგვიანდობდა მანისი. ბუღბუღნი
მოჭურინდენ... ტფუ! უკაცრავად,
კენჭოსნები თავს იყრიან-თქო, მინ-
დოდა მეთქვა.
მანის ძველად ჩვენში ვარდის თვე
ერქვა, დღეს კი სხვა-და-სხვა გვარად
უწოდებენ: მაზრებში „პრისტავის
თვეს“ ეძახიან, რადგანაც მაშინ ჰყი-
დიან მამულებს; ქუთაისში — ზუთხო-
ბის თვეს და აქ, თბილისში კი —
ხაშხაშისას. ამ უკანასკნელსაც მიტომ
კი არ ეძახიან, რომ ვითომც ხაშხა-
შის ყვავილი იშლებოდეს, — არა, მხო-
ლოდ მიტომ, რომ ამ თვეში აქ თურ-
მე ბევრი ხაში მზადდება ნივრით გას-
პეტაკებული.
საკვირველი თვისება ჰქონია ნი-
ორს! მართი ინგლისელი ექიმი ამტკი-
ცებს, რომ ინდოეთში ნიორს ბრაზის
წამლად ხმარობენ და ცოფიანებს არ-
ჩენენო; სხვა-და-სხვა გადამდებსახადის
დროსაც უებარი რამ ყოფილა; შავ-
კირს უხდება და შავი კენჭისაგანაც
იფარავს საარჩევანო სნეულს, მაგრამ
ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი ხაშიში
უნდა იყოს ჩანაყილ-ჩალესილი, რომ
უყვდ ვასქრას. უცდიათ კიდევ თურ-
მე ჩვენში! ასე მოგახსენებენ, თორემ

სათავად - ახსნაურო სკოლის გრება

ანგარიშის წაკითხვის შემდეგ პირ
ველი წამოდგა ანტ. შურცელაძე და
მიამტკიცა კრების ყურადღება შემოუ-
ტანელი ფულის რაოდენობაზედ.
სკოლა იმისთანა გაკორეგებულს მდგო-
მარებაშია, სთქვა იმან, რომ ოთხასი
თუმანი კარგი ფულია მისთვის და
გვიკვირს, აქამდის აულებელი რად
დაგივლიათო. მხლა ისე გამოდის რომ
მდიდრებისთვის უფრო ადვილია სკო-
ლაში უფასოდ შემოსვლა, ვიდრე
ღარიბებისათვის. ღარიბებს კენჭს უყ-
რით და ათში ერთს თუ იღებთ სა-
ზოგადოების ხარჯზე; მდიდრებს ყვე-
ლას იღებთ უკენჭოდ თავიანთ ხარჯ-
ზედ, მაგრამ ეს „თავიანთ ხარჯი“
საზოგადოების ხარჯი გამოდის, რა-
დგან ვერას ღონის ძიებით ვერ აგი-
ლიათ მათგან ხვედრი შემოსატანი
ფული. ბავშვების მიღების დროს
თავიანთ ხარჯზე, ჩამოართვით ხოლ-
მე მშობლებს ხელ-წერილი, ვის ჩა-
აბარათ ბავშვი ფულის შემოუტანე-
ლობის დროს და თუ არ შემოიტა-
ნეს, მაშინვე გამოირიცხეთ.
თავმჯდომარემ აუხსნა კრებას,
რომ შარშანაც იყო ამ საგანზედ

მე უცხო კაცი ვარ და აქაური არა
ვიცი რა, საზუთხეთოდამ განლაგართ
მოსული. წელსაც თურმე ხოლერას
მოვლიან და ხაშნიორის დიდი მზა-
დება არის; მუქთი აფთიაქი იხსნება,
მაგრამ ამბობენ, მსურველები ნაკლე
არიან ადრინდელზეო, მათი ცნობა
ძალიან ადვილიაო, რადგანაც შუბლ-
ზე შემდეგი ლათია აწერიათო:
**ბევამეთ ხაშიო,
აგვივსეთ ფაშეო,
თორემ ჩავივდებთ,
იცოდეთ, შავშიო!**
ასეა თქმულება და ლმერთათან
სწორი სჯობს — ჯერ კი არ შეე-
ხვედრივარ ამ გვარს კაცებს! მეგება
ჯერ მიმალულნი იყვნენ და მერე უც-
ბად გამოჰყონ ყარყუმით თავი; შე-
იძლება, მაგრამ მე კი ვინც ვნახე,
სულ სხვას გაიძახიან:
**ხაშმა გვაწყინა უღროვოდ,
ბვიდგება თვალის ჩინიო,
წამლად გვასწავლეს სნეულებს
ძარგი გული და ტვინიო.**
მათს აფთიაქსა დავეძებთ,
თუ სადმე მივაგენითო,
გვასწავლეთ, ვისაც ლმერთი გწამთ,
სამადლო საქმე ჰქენითო...
ამასვე გაიძახოდა გუშინ ერთი ჩე-

ლაპარაკი და მას აქეთ კომიტეტი
ცდილობს შეამციროს ეს მშობლებ-
ზედ დარჩენილი ვალიო.
საზოგადოებაში მოისმა ხმები, რომ
კომიტეტმა ყოველად სასტიკი ღონის-
ძიება იხმაროს ამ ფულის მოსაგრო-
ვლად. ზოგი ამბობდა გავთებში
გამოვაცხადოთ იმათი გვარი, ვისაც
ეს ფული არ შემოაქვს და ამით
მაინც დავანამუსოთო.
პ. შიკაშვილი. წელიწადში ორ-
ჯერ იბეჭდება გავთებში, თუ ესა
და ეს ფული არ შემოიტანს, მამულ-
დელული გაეყიდებო და თუკი ამი-
თი არ ნამუსდებიან, თქვენ როგორ
გინდათ დანამუსოთ!
აქ. წერეთელი. მისაც არ შემო-
აქვს ფული, ეგ უფრო დაუდევნელო-
ბით მოსდის, ვიდრე უქონლობით.
თუ როცა ფულს ჩაიგდებს ხელში,
ქალაქისკენ წამოვიდა ამ ფულის შე-
მოსატანად, გზაზედვე შემოეხარჯება
და სკოლას აღარა ერგება-რა. ავირ-
ჩიოთ აგენტები მაზრებში და ეს აგენ-
ტები მაშინ მივლენ ვალ-გადაუხდელ
მშობლებთან, როცა ფული ხელში
აქვთ, გამოართმევენ და გამოგზავნი-
ან. ამ საქმისათვის გამოდგებიან რო-
გორც მარშლები, ისე სხვა სახლო
პირნი.
შ. შიკაშვილი. ხელზედ რომ მიე-
კრათ?

მი ნაცნობი მოხუცი კახელი. მიამა
მისი ნახვა, მიველ და მივესალამე
„ჩვენებურადა, ძველებურადა“, მაგ-
რამ შეეკრთი კი, როდესაც იმ დარ-
ბისეგმა გამარჯვების საპასუხოდ —
„დილა-მშვიდობის“ მომადახა.
— ბატონო, რევაზ, „დილა-მშვი-
დობისა“ — ეგ ახალი შემოდებულია;
ძველად კი, რომ ვისმეს შეხედებო-
დენ, „გამარჯობა — გაგიმარჯოს“ — ს
ეტყოდენ ხოლმე.
— ღიად, მართალია, მაგრამ რა
ეკნათ, რომ იმ დროს ისე შეჰფერო-
და და ამ დროს კი ასე შეჰმევენს.
მს ერთი ხანია „გამარჯობას“ მეც
აღარავის ვეუბნები.
— რა მიზეზია?
— შერალო რამ: ადრე ყოველი
კაცი საწალმართო საქმეზე მიდიოდა
და ახლა კი საუკუღმართოზე დადიან.
ახლანდელი კაცი, ვინ იცის სად მი-
დის და რას ფიქრობს! მეგებ ქვეყნის
საორგულოც რამ ედოს გულში, და
მაშ მიდი და უთხარი „გამარჯობა“.
— მჰ, დალოცვილო, ნუ თუ მარტო
მაგისთვის ჩამოსულობართ ძალაქში,
რომ ეგ ჰეშმარტება გეშხილებით?
მე ჩვენც ხომ კარგად ვიცით! თქვენ
ეს მიბრძანეთ: რამ ჩამოგიტყუათ ამ
თბილისში? მგონებ, ძვირი სტუმარი
ბძანდებით და საზოგადოდაც კახე-
ლებს არ გიყვარსთ თბილისი.

თ რ. ვასკასიშვილი (თელავის მარ-
შალი). სირცხვილია, რომ მაგისთანა
ეკვს ვაცხადებთ, ნუ თუ თავდაზნა-
ურის წინამძღოლს, ან სხვა პატივცე-
მულ პირს ვერვის ვარ ვანდობთ ათსა
ან ოცს თუმანს, რომ მშობლებს გამო-
ართვან და სკოლას გადასცენ. მე
ვაცხადებ უკმაყოფილებას ჩვენის თა-
ვად-აზნაურობის მხრივ ამისთან აუნდო-
ბლობისათვის.
პრებამ გადასწყვიტა: ამას იქით
კომიტეტი ახალ ვალს ნურავისზედ
დაავდებს და ძველი ვალი მარშლე-
ბის, ან სხვა სახლო პირთა შემწეო-
ბით მოაგროვოს.
მეორე საგანი აღძრა კიდევ ან.
შურცელაძემ. მან მოითხოვა, რომ
პროგრამა ჩვენის სათავად-აზნაურო
სკოლისა სრულიად ეთანხმებოდეს
კლასიკურ გიმნაზიების პროგრამას,
ე ი. ბერძნული მესამე კლასიდანვე
ისწავლებოდეს (თორემ სხვაფრივ ორივე
სასწავლებლის პროგრამა ერთი და
იგივეა). ამ საგანზე დიდხანს ლაპა-
რაკი არა ყოფილა. კომიტეტმა უჩვე-
ნა კრებას, რომ ამ საგნის გადაწყვე-
ტა შარშან მიენდო კომისიას, რომ
მელმაც წარუდგინა თავის მოხსენება
საგანგებოდ შეყრილს კრებას და კრე-
ბაც დაეთანხმა კომისიის გარდაწყვე-
ტილებას შესახებ კლასიკური ტიპის
მიღებისა და ბერძნული ენის გამო-

— ბევროგება! ძაგვასიონი გვიდევს
შუა; შორი გზაა, მაგრამ ახლა კი
თან-და-თან ვეჩვევით. განსვენებული
პაპა ჩემი კი ისე მოკვდა, რომ თბი-
ლისი ერთხელაც არ უნახავს.
— რატომ?
— მანა არ უნდოდა ენახა, მაგ-
რამ მიზეზი ჰქონდა! იმას ეჯავრებო-
და... ძალაქში არ ჩავლო; ამოვი-
ნებული ჰქონდა იმ ცხონებულს: სარ-
თიქალამდი ჩამოდიოდა, და ისევ უკან
ბრუნდებოდა. მე კი ეს მეორედ ჩა-
მოვიდივარ.
— პირველად როდის ბრძანდებო-
დით?
— ამ ათის წლის წინედ! საბანკო
არჩევანზე დაგვიბარეს და გიახელით.
მაშინ დიდმა დაპატარამ — ყველამ პი-
რი შეეპარით ერთად და მოვაშუ-
რეთ თბილისს, რადგანაც უჩვენოდ
საქმე არ რიგდებოდა; დაესძახეთ
„ოროველა“ და სულ კრიკინ-კრი-
ტინით გადმოვიარეთ ზომბორი. მა-
ლაქში რომ ჩამოველით — ჩვენი მო-
წინააღმდეგეები შიშის ზარმა აიტანა.
ღვეში დაუკრეს ზორისაკენ: არიქა
მოგვეშველეთ, კახელები მოგვეჯარენ
და არ დაგვამარცხონო. ისინიც თურ-
მე გამოგმგზავრენ, მაგრამ „გზის მან-
ქანას“ გამოვსწრო მათთვის და რიყე-
ზე კი დარჩენ. მჰ, რალა გავწყობო-

გამოცხადებას ნიშნავს — ამბობდნენ. მაგრამ არასოდეს არ ახსოვთ, რომ ამდენი ინგლისის სავაჭრო ხომალდები წასულიყვნენ შავი-ზღვის ნავთსადგურებისაკენ, რამდენიც ამ ვამად მიდის განუწყვეტლივ; ესენი თითქოს რალაცას მოეღიანო, მიეშურებინ და აუარებელი სხვა და სხვა საქონელი გამოაქვთ რუსის ნავთ-საყიდრებიდამ, — განსაკუთრებით პური მდენსილამ. მფიციალურის წყაროებიდამ სჩანს, რომ აქაურმა ინგლისის სავაჭრომ 270 ინგლისის ხომალდს მისცა მოწმობა, თავისუფლად მიმოსვლისა რუსის ნავთ-საყიდრებში და, ამბობდნენ, მისამდის მოწმობა სამასამდეც ავიდა.

ტელეგრაფები

„ხრდილოეთის საჯანტოსი“
აპრილის 26-ს

პეტერბურგი. „მმართველობის მოამბეში“ დაბეჭდილია: „აპრილის 18 ს მთავარი ამბავი თავისუფლად მომოსვლის შეტყობას თაბახედ ატყობებს, რომ გენერალი გომაროვის წინ-წაწკა ავლანკლების გასარეკად მდ. კუშკას მარცხენა ნაპირიდან, სრულიად არ ეწინააღმდეგებოდა სამხედრო სამინისტროს ბძანებას. მართლაც, გენერალს ნაპირსუბიექტად მსოფლიად არ დაეჭირა პერჯდეს ააზისა, წინდაწინვე ავლანკლებისგან დატყობილი. ამის გამო გენერალ გომაროვს არ ედება არავითარი ბრალი მარტის 18-ს მომხდარ ამბისათვის. შემდეგ ამისა ჩველისა და დიდ ბრიტანიის შორის შეუთანხმებლობა შეიძლება გამოწვეულ იქნას მსოფლიად ამ საგანსად: რომელმა უფრო ნამდვილად განმარტა მთ შორის შეკრული პირთა ორივე მხრის წინ-წაწკა აღვლანკლებს სამხედროების გაყვანამდე? კ. ი: ეთანხმებოდა თუ არა გენ. გომაროვისადმი მიცემული ბძანება შემოსენი პირობის აზრს, თუ, როგორც ღონდონის კაბანეთი ამტკიცებს, რუსეთის მთავრობა ვადებულა იყო ებძანებინა რუსის ვარის უფროსისათვის, — არ დასცემოდა თავს ავლანკლების მოსტებს, სადაც უნდა ეოთავალიყვნენ ეს უკანასკნელნი, რავი მიიღო ბძანება, წინ აღარ წაწყლიყო. არც ერთმა მთავრობამ, არც ინგლისისამ და არც რუსისამ, არ უარ-ტყო თავის შესუდულობა ამ საგანსად. ამის გამო, რომ ამ საგანმა არ დაუშალოს სამხედროების გაყვანის საქმეს, თუ საჭირო იქნება, გადაეცეს საცილობელი საგანი ორივე მხარესგან ამორჩეულს შუამავას, რომელმაც უნდა დაადგინოს გარდაწვეტილება შესაფერი ორივე მთავრობის სასურლისა და ღირსებისა.

„ამვე დროს ორივე მთავრობა დასთანხმდა, რომ ხელ-ახლავ დაიწყოთ მოლაპარაკება სამხედროების გაყვანაზე წინადადგენილს პირობაზე: უმთავრესი ადგილები სამხედროის წინდაწინვე უნდა დანიშნონ კაბინეტებმა და სამხედროის ნამდვილი სახის გაყვანა და მიჯნების

ხაზის მიქნადის ორივე მხარესგან ამორჩეულს პირთ საქმის განადვილებად, მოწინავე მოსტებს მსოფლიად მძის დაიქვანას, ორცა კომისია ადგილობრივ მკვ. მაქსეი დასიშნება თუ არა, მთ დაიჭყურნ მოწინავე მოსტები და ამ მოსტებს ექნებათ მინდობილი წესისა და მშვიდობა-ახლობის დაცვა თავ თავისთს ტერიტორიებში.

„აპრილის 25-ს, დამე, გარდაიცვალა მოწინავე სმოდისის ასტიტუტისა, ასუღლა ჩერნოგორიის მთავრისა — მარია. წინა დღით მოვიდა შეკრებულს ჩერნოგორიის მთავრის ძეგლად, რომელსაც თან მოჰყვანს მისი ასული მიდიცა და ჩერნოგორიის შინაურ-საქმეთა მინისტრი ბოე და რ შეტროვინი ჩეგოვი. განისაზრდა რომ განგრდა მატარებელი, მთავრის ძეგლად ჩასეს გაგა. მათათა იმპერატორებთი დიდუფლებათა.

აპრილის 26-ს.

ბერლინი. გუშინ რეისტატში შეტანილ იქნა პრეკტი რუს-გერმანიის ხელშეკრულობისა და მსაშვეთა გაცემასე.

ლონდონი. სასოგადოებათა შალატში იფიცორ.სმა სოქკა, რომ მოთავუდ ავლანის სახლურის განსუყსულად შემდგარის კომისიისა იქმნება შალეკონკი რიჭკვი, რომელსაც იქმნების კაბიტანი უეტი და რამოდენიმე სსგა ოფიცრები; საწილი ცხენოსანი ვარისა დარჩება რიჭკვისთს სჯა ავლანის სახლურის შესახებ სამსაბათისათვის გადაიღება

ლონდონი შალატში ასტედა სჯა დარდნელსე; სალი ბიურმა ახსნა, რომ მის შენიშვნას, რომელიც ჩაწერილია ბერლინის კონგრესის დოკუმენტებში, აქვს ის პრეკტიკული მს. შესულობა, რომ უგეოო სონთარო დაიწყოთ მოქმედებას სსგა სასულმოფილას ძალ დატანებით, მძის ინგლისს აღარ დააბრეკოლებს-რა დარდნელში გასვლისათვის.

მტავა. ყველა ინდიელები, რომელნიც სესოვრეკის ბატალეონთის დასაგლეითი, მოემსადენ ომისათვის

ლონდონი. სასოგადოებათა შალატში ნორსკოტმა განაცხადა, რომ ორშაბათს ომში იცნა წინააღმდეგი გახდება 11 მილიონი კრედიტს მიცემასე და წინადადებას მისცემს შალატს, არ გაიცეს ეს კრედიტი, ვიდრე არ აიხსნება, თუ რასეად დასარჯება იგი.

აპრილის 27-ს.

პეტერბურგი მე 8 ქვითა დივიზია გადაირიცხება მე-5 არმიის კორპუსიდან მე-6-ში, მე-10 დივიზიის სამაგეორად, რომელიც მე-5 კორპუსში ჩაირიცხება.

„Journal de St. - Pétersbourg“ ამბობს, რომ საღისბიურის აზრს დარდნელსე არავითარი საფუძველი არა აქვს, რადგანაც ვერავინ იტყვის, სონთარო სასულმოფილას ძალდატანებით მოქმედებს, თუ არა. გასეთი ეჭვს აცხადებს იმასეად, რომ სსგა სასულმოფილამა, რა-

მეტაც ხელი მოაწერეს ბერლინის ტრეკტატსე. მოწინავე საღისბიურის აზრით.


„Новое Время“-ს გასეთისა, რომ მთავრობას განუზრახეს დამოუკიდებელი დიპლომატიურა წამომადგენელის დანიშნა ვალეუტაში

გასეთების სიტყვით, 1886 წლიდან აპირებენ სრულებით გააუქმონ სარჯი სულსედ მთელს კვრამიულ რუსეთში და მის სამაგეორად სსგა სარჯი შემოიღონ.

პაშინგტონი. ჩრდილოეთ-ამერიკის შტატების ელჩად შეტარებულში დანიშნა ლატრონი.

განცხადებანი

ინგლისური რაინის ქროტები



ერთის საწოლი 6 მანათიდან, და ორის საწოლი 10 მანათიდან; მთი

ლეებში, ზღვის ბაღსით გატყინილი 4-დან 8 მანათიდან, კედელი უქმდე ნიოთები იყიდება მსგავსი მსგავსი აფად. ვადრე სსგანს სადმე: ბრიტანიის მუტალის ნიოთები, ჩაიანები, საკარაქე საშაქრე, კოვსები, შეფიდდის დასები ხანგლებით, სამართებლები, დასადემული პირის საბანი, სტაქსე, სუფოგნივი, საწვავ, რიუმეები, საქაშური, თეფები, ბლეუდები, სასადათეები, ტაშტები, სამეკეები, სამარილები, განიციის საფსეები, პრობის ამოსადები, პრობები, კლიტები, გასადებები, კრანტები, ღვირები, სღისტები, ტანისამოსის დასავადებები, საბალო მაგრატლები, ვაქები, უთაები, წისკვიდები, სერსები, ქლიბები, ინგლისის თაფები და რეკლეკები, პიეები, ზარბადები, კაშსიოები, საფანტები, ნიხები, ვატერპრეტი, საბნები, ჩუქები, წინდები სუფრები, სადჭეკები, რგალები, ემლიანი ჭურჭელი, მურაბები, კაშფეტი, კაშულები, სოუსები, ზღვის ბაღსი, დიმიკიტონები, ბომბეი და სსე. ინგლისურს მალაზიებში არწურისიუეს ქარვასლაში № № 95, 94, 93, 91, და 90, 89, 88, 87, 86, და 85, უდიდესი ჩანს მალაზია თბილისში. (100—21)

ახალი მცირე მუდმივ-მომქმედი ავეჯი იაფად
მიიღო
აქრას მედლა 1878 წლის გამაფენაზედ

მუდმივ-მომქმედი ავეჯები

შუშუნა სასმელების გასაკეთებლად:

ხელგრის წყლისა, ლიმონდისა, სოდისა, შუშუნა ღვინოებისა, ლუდისა.



სიფონები ღიღებიც არის და პატარებიც; ადვილი გასაწმენდა
J. HERMANN—LACHAPPELLE
J. BOULET et C-ie, Successeurs Ingénieurs Constructeurs.
RUE BOINOD, 31—33(Boulevard Ornano, 4—6) PARIS

გინც ფასტის მარგას გამოგზავნის, დაწვრილებითი პირობები გავგზავნება. (6—5)

ინგარაბა და ნარჩეპია ბავრის
ექიმებისაგან!!
მ, ღონერსტაგისაგან ახლად გაუმჯობესებული გაღვანო-კლექტრული აპარატი, რომელიც სხვებს იმითი სჯობიან, რომ უბრალოა, ადვილი სახმარებელი (ავადმყოფს შეუძლიან ინგაროს სხვის დაუხმარებლად), საჩქაროდ მოქმედებს და ი.ფაფ არას. უბრალო საშუალებაა ნერვების ეკლავ გვარ აგადმეოფილათა მოსარჩენად, როგორც რეკტიზმის, უღონობის და სხე.
ფასი 6—25 მანათამდის
ელექტრონული სუსუნ-ზარბიუები
ბთხოვთ მიმართოთ ერთადერთს ავენტს რუსეთში
ს. შინგარბს
მოსკოვი, ჩერკასკის ვიწრო ქუჩა, სოკოვონსტას სახლი.
II. 13671 (1—1)



გუბერნია, რომლის გუბერნატორმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო ხალხის გაკირვებულს მდგომარეობაში და წყალ-წითელის ნაპირზედ განსნა საგადმოყოფა, სადაც ყვავილით ავად-ყოფებზე იღებენ და ისე კარგად უყვლიან, რომ ეს სენი ძალიან შესუსტდა და იმედია მალე სრულიად გაქრეს. მხლა ეს სენი რაქის მაზრის სოფ. სხვაგვამი გამძვინვარებულა და ორი კვირის განმავლობაში ოცდაათს სულზე მეტი უმსხვერპლია. ძარგი იქნება, რომ ამ მაზრასაც გულის შემავალი ვინმე გამოუჩნდეს.

სოფ. ხაშიდამ გვწერენ: „ს. ხაშიდამ გვერდზედ, ახლო, ჩამოუღის მდ. იორი და მარტენა ნაპირი მდინარისა, რიყე, საზოგადოებასა აქეს მიზომილი სახმარ ადგილად, რომლიდგანაც სარგებლობს უმეტეს ნაწილად ქვით და დიდი მოთხოვნილება არის საზოგადოების წევრთ შორის შენობებისათვის.

ს. შჯარმიდან შაზიანის სტანციასთან უფრთებენ ძახეთის შოსეს, რისთვისაც შეუძლიანთ მიიტანონ ქვა მხოლოდ მდინარე ივრიდან. მზაკვთდება სახელმწიფო ხარჯზედ და გამლეულთ გზაზედ გამოერთმევთ ბაყი.

მეიჯარადრე იღებს თითო კუბიკური საყენის ქვის გზაზედ გასაშლელს არა უმცირეს ოცდახუთი მანათისა და გარშემო სოფლის მცხოვრებთ აზიდვინებს საყ. ოთხ-მანათად, და დანარჩენი ფული რჩება „ფოდრაჩის“ ჯიბეში. ახლა ვკითხავ ბ. მოხელეს: იცის თუ არა იმან ეს საქმის გარემოება კარგად? ღარწმუნებული ვართ რომ იცის. მაშ რატომ არ მოახსენა ვისაც ჯერ არს ამ გვარი საქმის მდგომარეობა, რომ შემოხსენებული განკარგულება არ მომხდარიყო.

მოხელისაგან მომხდარ განკარგულების დროდგან ყოველ-დღე ოცი ურემი ეზიდება ქვას, რის გამოც ჩვენ ჩვენი საკუთარი საქმეებისათვის თ. ჩოლოყაშვილისაგან მოვეინდებო ქვის ყიდვა, რომელიც კუბიკური საყ. რიყეზედ აკრეულის ქვას სამს მანათს ნაკლებ არ მოგვეცემს; ჩვენი საკუთრება კი სხვას მიაქვს მუქთად და სარგებლობს.

ძარგი იქნება ამ გარემოებას მიეპყროთ, ვისიც ჯერ არს, იმის ყურადღება დროით და დაეხსნათ სოფელი ამ გვარის გაცარკვისაგანაო.

მთავრობას გადაუწყვეტია, რომ ამ 1885 წლის ივლისის 1-დამ გახსნას თბილისში ოთხ-კლასიანი საჯარო პრაგმატისა, რომელიც პირველ წელს ორი კლასისაგან იქმნება შემდგომ და შემდეგ ყოველ წელს თითო კლასი მოემატება.

გუშინ, აპრილის 27-ს უფროსი თავსმჯდომარე თბილისის სამსახურლო შადატისა ბ. გონსაროვი წავიდა ქ. ერევანში იქაურა სამსახურლო დაწესებულება-თა სარევიზიოდ. („კვანია“).

თბილისში გახსნა ყაღბი, ვაღის ორ-მარევიზიები, რომელთაც ასაღებენ

თურქი განსაკუთრებით გლეხობას („სოფ. ობ.“).

„დროების“ კორესპონდენცია

ლექსუის მ.წარ., აპრილის 10-ს. თუმცა ლექსუის მ.წარის სასამართლოებო მკვლეის ბინიადმ დასძრეს და სსკვასადას ბინაზედ გადაიტანეს, მაგრამ სამწესროდ ამ გადატანის დროს საერთო საზოგადო ინტერესებზედ უფრო წინდაექნებულ იქმნა კერძო პრაგმატული ინტერესები. მათდა დასაცვლად გამოწვეულმა ათასხაინმა ხრიკებმა თავისი გაიტანეს და სასამართლოებს ისეთს გუთხუი გაუჩინეს ბინა, სადაც უმრავლეს ნაწილს საზოგადოებისას არა თუ შეღავათი მიეცათ ამ გარდატანით, არამედ ერთი ათად დაუძმძდათ იქ საქმეების წარმოება და სამართლის ძიება, თუ სიშორის და თუ სსკვ ბეგრეკარ დამარყოფელ და სეოს-შემძველ მიწათა გამო. მაგრამ წარსულზედ ბასს თავი დაგანებოთ, რადგანაც აქ ესლა უფრო ასადას საგანზედ გვიდა ორიოდ სიტყვის თქმა: აქ უკვლას გადაწყვეტილად მიხსნია, რომ ლექსუის მ.წარის უკვლად მისცემენ ამ ცრატ ხანში. მაშინვე სსამართლოს განყოფილება. ამას წინადა მოუვიდა აქაურს მომჩიებელს მოსამართლეს სემოსენსებულს საგანზედ მოწერილობა ქუთაისის ოლქის სამსჯავროს უფროსს. საგან, რომლითაც იგი აცხობებდა მას, რომ ლექსუის მ.წარის უხდა გახსნას სასამართლოს განყოფილება და მისი დაფუძნება რომელს ალაგას ექვობინება, ამ საგანზედ შენი აზრი წარმოგვიდგინეო. ეს ამავი მაშინვე ელაგავით მოეფინა მთელს მ.წარის და ბეგრს იმედი ქონდა, რომ ესლა მინც ისეთს ალაგას გახსნიდას სასამართლოს, სადაც საზოგადოების უმეტეს ნაწილს ერთნაირად შეუძლებოდა ამ სასამართლოთი გაჭირვებულად სარგებლობა. მაგრამ საუბედუროდ სოკოერთა გავლენისა პირები საზოგადო სარგებლობას უარ ქეოფენ და ცდილობენ სასამართლო ცხვირ წინა ქეონდათ. მთელი მ.წარის საზოგადოება ორს ნაწილად გაიყო. ერთი ნაწილი, რომელიც უმრავლეს რიცხვს წარმოადგენს, თხოულობს, რომ სასამართლოს განყოფილება ლაილაში დასრდეს, სადაც წინადაც იყო დაფუძნებული, როგორც სსამართლო ისე მ.წარის სამმართველოც. უმცირესობა კი სოფ. აჭანას უჩვენებს. აქაური პატრივტული მოსამართლეც, რომელმაც გარგად იცის სსენებული ალაგების დინსება და ნაკლუდეკანება, იმ აზრისაა, რომ სასამართლო ლაილაში გახსნას და სწორე აზრიც არის, რადგანაც ამასზედ უკეთესი და უფრო მოხერხებული ადგილი სსენებულს მ.წარის არსად არს აქვს. იმედი გვაქვს ჩვენი საზოგადოება უფრო განივრუფლად მოეცევა ამ შემთხვევაში და მ.წარის მისცემს ბატ. მოსამართლეს, რომელიც სწორედ დინსია ამ შემთხვევაში თანაგრძნობისა.

ქაიხოსრო გვლოვანი.

დავა შუა აზიაში

◆◆ იმ დღიდან, როდესაც რუს-ინგლისის შუა განხეთქილება ჩამოვარდა, უმეტესად ყურადღების ღირსს ხმებს, ხშირად სენსაციურს ამბებსაც, ნემცურს—ბერლინის და ვენის—გაზეთებში შეხედვლით. ნემცური გაზეთები ხშირად განზრახ ავრცელებდენ, და ავრცელებენ ცხლაც ისეთ ხმებს, ბეჭდადენ ისეთს ამბებს, რომელნიც გულზედ ხედვოდენ როგორც ინგლისურს,—ავრთვე რუსულს გაზეთებსაც. ავსტრო-ბერმანიის წადილი ცხლად აღიბეჭდა ამ სახემწიფოთა პრესაზეც. გაზეთები გამოსთქვამდენ მას, რაც სასურველი იყო მათთა მმართველობათათვის. ბერმანიასაც და ავსტრიასაც ორთავესა ჰსურთ რუს-ინგლისის შეტაკება. მრნიც სარგებლობას მოელოან ამ დღიდან.

◆◆ მათუილიდამ სწერენ ვენის გაზეთებს, რომ ემირმა ამ მოკლეს ხანში მიიღო წერილი ერთის წარჩინებულის გავლენიანის პირისაგან, ბუხარადამ. წერილში სხვათა შორის, სწერია: „თუ თქვენ მართლა გადასწყვიტეთ რუსეთთან ომი—ეცადეთ, რომ ხაფანგში არ გაგხვიონ რუსებმა. ბეჯითად ვიცი (თუმცა რუსეთი ჯარს აგროვებს, ვითომ, ჰერათისაკენ გასალაშქრებლად), რომ ამ ქალაქისაკენ არ წავა რუსის ჯარიო. თქვენ ჰერათში დაუწყებთ ლოდინს ამ ჯარს და ის კი სამარყანდიდამ ბუხარაზე და ამუ-ღარიანზე გადივლის, და მიადგება ბლახას. ეს გარემოება არეულობას გამოიწვევს ავღანში. და როდესაც აჯანყების ხმა ჰერათამდის მიალწევს, მათულის კარები დახურული იქნება თქვენის ჯარებისათვის და შანდაარისა—ინგლისელებისთვის. მაანაწილეთ თქვენი ჯარი ჰერათისა და მათულის შორის, თუ არა გსურთ ტახტს გამოეთხოვოთ. მიმეორებ რუსები არა შემთხვევაში არ გაილაშქრებენ ჰერათზე.“

◆◆ შრანტუზული გაზეთი Presse (აღრე ბამბეტას ორგანი) ამბობს, რომ სამხედრო ძალის სიმცირის გამო ინგლისს არ შეუძლია ომი გამოუტყდაოს ძლიერს რუსეთს, და ძნელი დასაჯერებელია, რომ იგი (ინგლისი) ეცადოს, რომელიმე სახელმწიფოს ძალით მიმხრობას რუსეთთან საბრძოლველად. თუ ინგლისი ძალით გაიყვანს თვისს სამარ გემებს ღარდანელში, რუსეთი დაუყენებლივ დაიჭერს მსმალოს სომხეთს და ააჯანყებს ბალკანის სამთავროებს, ავსტრია წაიწევს მეცის ზღვისკენ, იტალია-კი დაიჭერს ტრიპოლისს. საფრანგეთი და ბერმანია, თუმცა ამათ ორთავესა ჰსურთ მშვიდობიანობა, რაკი ნახვენ მარჯვე დროს, ისარგებლებენ მით და მოიწადინებენ ნაციონალურ პროგრამის ზოგიერთ მუხლებს შესრულებასო. გაზეთი დარწმუნებულია, რომ რუს-ინგლისის ომი სულ რამდენიმე თვის განმავა-

ლობაში მერობიელ ომად გადაიქცევა და ამიტომაც მხედრის მხარის სახელმწიფოთი უნდა შეტყდინოს თავიდან აიშორონ ესეთი ომი. მაგრამ თუ საქმეს მაინც კიდე არა ეშველა რა, მაშინ გამართლდება გრაფბეტის წინასწარმეტყველება: „გაუქმდა მერობა“—ო.

◆◆ Daily News-ის კორესპონდენტის სიტყვით ვენის პოლიტიკურ წრეებში დაბეჯითებით ამბობენ, რომ რუსეთი, თუ ომი ასტყდა, ბოსფორისაკენ მიმართავს თავის საომარს ხომალდებს და დაიკავებს ღარდანელის სრუტეს.

◆◆ კონდი სტივენსს, რომელმაც იმ კვირაში გაიარა თბილისზე, ფრიალ საყურადღებო ცნობები მიაქვს თვისის მმართველობის საუწყებლად. ბლადსტონის-მიერ ამას წინად წარმოთქმული სიტყვები საზოგადოებათა პალატაში, როდესაც პრემიერმა, სხვათა შორის, განაცხადა „ინგლისელი აფიცრები შეაცდინესო“,—უეკველია, სტივენსსაც შეეხებოდა, რადგან ეს ერთი იმ აფიცრთაგანია, რომელთაც ბრალდებათ ავღანელების წაქეზება.

◆◆ შანაილამ (ჩინეთში) დევეშით აცნობებენ Times-ს, რომ მლადივოსტოკის კანკლებს აღარ აანთებენ და ნავთ-საყურის გარშემო ზღვაში ჩაყრილია ამფეთქი იარაღები.

◆◆ ინგლისის მმართველობას სერ პეტერ ლემსდენისაგან ამბავი მიუვიდა, რომ რუსებმა, ეს არის, დაიკირეს მარუჩაკიო. ამ ამბავმა ხელახალი, გაცხარებული საწინააღმდეგო წერილები გამოიწვია ინგლისურ გაზეთებისა, მხოლოდ Pall Mall Gazette-კი თავისებურის მშვიდობიანის კილოთი გულ-გრილად სჯის ამ შემთხვევაზე: „ერთს თვეზე მეტია, რაც რუსებმა პენჯდეს მაზრაში დროებითი მმართველობა დააფუძნეს. ამ ხნიდან ისინი ძალიან დაუხლოდენ მარუჩაკს. პენჯდეს მაზრა ჩრდილოეთით ხედება აღ-მთევს, სამხრეთით მარუჩაკს. სარიყების კარგები გამოწკრივებულნი არიან ვიდრე მარუჩაკამდე. მარუჩაკი მხოლოდ სახელწოდებაა პენჯდეს მაზრის ერთის ნაწილისა. იგი არ წარმოადგენს არც რაიმე სიმაგრეს და არც სტრატეგიულს ადგილს; ავღანელნი იქ არა სცხოვრებენ. პენჯდედამ სამხრეთით რომ წავიდეთ ბალა-მურაბამდე, არ შეეხედებით მიხრის ქვეშევრდომთ. აქ სახლობენ ათას კომლამდე ჯემშიდები. რუსები მხოლოდ მარუჩაკის აღებით თუ დაიფარვიდენ ამ ჯემშიდებს სარიყების თავ-დასხმისაგან.“

◆◆ სტამბოლიდამ სწერენ Pol. Corr.-ს: „ინგლისის გენერალურმა ელჩმა მიიღო ამ დღებში ბრძანება—ალუკმალოს ინგლისის სავაჭრო ხომალდებს რუსის ნავთ-საყურებისაკენ წასვლა. ამ ხმამ დიდი აღელვება დაატყო აქაურს საზოგადოებას—ეს ომის

რიცხვისა მესამე კლასიდან, რადგან ოთხი-ხუთი ენის ერთბაშად სწავლება მეტის-მეტად აბრკოლებს ბავშვების განვითარებას.

ბოლოს მომავალი წლის მოსალოდნელი ანგარიში წარუდგინა კომიტეტმა კრებას. კომიტეტს ეს ანგარიში ორ-გვარად შეედგინა: ერთი იმ შემთხვევისათვის, თუ საშუალების უქონლობის გამო პანსიონი გაუქმდება. მეორე—პანსიონის ხარჯით. პირველ შემთხვევაში ხარჯი იქნება 17,004 მ., მეორე შემთხვევაში 26,525 მანათი. სხვა-და-სხვა შემოსავალს მოელოს კომიტეტი 6,350 მანათამდე, ბანკიდან შემოწროლობის გარდა. თუ ძველი ვალიც გადაიხადეს მშობლებმა, მაშინ ეს შემოსავალი 10,000 მანათამდე ავა. მაშასადამე ბანკიდან დასჭირდება სკოლას შემწეობა, სულ უკანასკნელი, 17,000 მანათამდე მან.

ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ კომიტეტს შეძლებისამებრ შეემცირებინა მოსალოდნელი ხარჯი. მაგალითად ზოგიერთ მასწავლებლებს უკისრიათ უსასყიდლოდ მომეტებული შრომა, და აღარ მიეცემათ შემწეობა არც ფულით არც წიგნებით გარემომოსიარულე მოწაფეთ. მართმა მასწავლებელთაგანმა ბ. ჯაჯანაშვილმა ახსენა, რომ ნივთებით შემწეობა მეტის-მეტად ცუდს ჩვეულებას ნერგავს ბავშვებში. ეს მათ აჩვენებს ყოველთვის ხელ-გამოშვრასა და თხოვნას. მართლაც ხშირად თხოულობენ ისინი ხან ქალაქს, ხან რვეულს, ხან რასა და ხან რას, თუმცა ხშირად ეს ნივთები მათთვის სრულიად საჭირო არ არის.

ამ ბაზის შემდეგ ანგარიში კრებამ ერთხმად დაამტკიცა.

და! გული მაინც არ გაიტყვის, ასხენეს ლმერთი, სთქვეს გუნებაში „მოიხსენე, შფალო, ღვით და სიმშვიდე მისიო!“ დასხდენ ტივებზედ და მისცეს თავი ქალაქისაკენ. მაგრამ ძლიერია შინა ილია, ვენაცვალე მისს სახელს—ჩვენ იმ ილიას სახელობაზე ვიყავით ძახეთიდან წამოსული—მოიყვანა ავღარი, მოვარდა ნიავ-ღვარი, გადიდა მტკვარი, მოიტაცა ი ტივები და კენკოსნებს შარაიაში ამოაყოფია თავი. სანამ ისინი იქიდან ამობრუნდებოდნენ, ჩვენ ჩვენი გავიტანეთ და დაგვრჩა ბურთი და მოედანი! ახლა კი ცოტა ვართ, მაგრამ მაინც ილიას იმედი გვაქვს!

— ახლაც ბანკის საქმეზე ბძანდებით?

— დიად, და ბოლოს მარშალზედაც უნდა გადავიდეთ. — მართლა, დიდი ხანია მინდოდა მეკითხა: მარშალს ჩვენებურად რა ჰქვია: „წინამძღოლელი, თუ წინამძღოლელი“ იქნება...

— მრევ მართალია: მხოლოდ თუ იმისთანა კაცს ამოიჩინებ, რომელიც მეთაურობას გაგიწევს, პირში და ლხინში წინ წაგიძღვებათ, ის, რასაკვირველია, „წინამძღოლელი“ იქნება...

— მჰ, როგორ ურ მოგწონდათ ვე

თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ თავმჯდომარის მაგიერი წევრი მმართველობისა კნ. მარ. მახტ. ას. მრბელიანისა უარს ამბობს თავის თანამდებობაზე სხვა და სხვა შინაურის მიზეზების გამო და მის მაგიერად სხვა უნდა ამოვიჩიოთო. აგრეთვე უნდა ამოვიჩიოთ ერთი კანდიდატი მმართველობის წევრობაზეო.

კრებამ ერთხმად მადლობა განუცხადა პატივცემულს კნ. მარ. მრბელიანისას იმ გულ-მხურვალე მონაწილეობისათვის, რომელიც მას ყოველთვის აღმოუჩენია სკოლისათვის და მწუხარებით მიიღო ამბავი, რომ მას გარემო მიზეზების გამო არ შეუძლიან თავის სასარგებლო მოღვაწეობის განგრძობა. თავმჯდომარის მაგიერად კრებამ ამოიჩინა თ. კოსტ. ივ. ძე მუხრან-ბატონი და კანდიდატად ანტ. შურცელაძე.

დასასრულ თავმჯდომარემ მოაგონა კრებას, რომ სათავად-აზნაურო სკოლას დიდი ღვაწლი მიუძღვის საზოგადოების წინაშე და დიდს იმედსაც უნდა ვამყარებდეთ მასზედ; რომ ამ სკოლის მოწაფენი თუ მალა არა სდგანან, არ ჩამოურჩებიან განვითარებით სხვა სასწავლებლების მოწაფეთა და ამიტომ სთხოვა საზოგადოებას ერთხმად თანაგრძობა და დახმარება.

კრებამ გულითადი მადლობა გამოუცხადა კომიტეტს და მის პატივცემულს თავმჯდომარეს უსასყიდლოდ, ერთგულის მოღვაწეობისათვის.

ის იყო კრება იმდროს, როდესაც წამოდგა ერთი წევრი და ხმა მალა წარმოთქვა: ვსთხოვ კრებას გამოაცხადოს მწუხარება, რომ გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღო-

დაცინება! შეშარბიტად, არ გეკადრებათ ამდენი ხალხის შეურაცხყოფა. უშჯობესი არ არის, რომ კარგი რამ გვიჩიოთ?

— უკაცრავად, ბატონო, მაგრამ თუ დაუყვირდებით, მაგ დაცინებაში ცრემლ-ნადვლის მეტს ვერას დაინახავთ. — არ გინახავს, რომ მომეტებული მწუხარების დროს კაცი იცინოდა, მაგრამ ის სიცილიკი ტირილზედაც უარესი იყო? ან ჩვენ რად გვაცინებთ ნადვლიანად, ან თქვენ რად ჯავრობთ? თქვენ ხელთ არ არის ავისა და კარგის არჩევა? გვიჩიოთო, რომ ბძანებთ, განა დაგვიჯერებთ?

— ბარემ გვინდა, რომ დაგიჯეროთ, მაგრამ რომელს დაგუჯეროთ? თქვენ რომ მოწინავე ხალხი ერთმანეთს ვერ შეთანხმებინართ, სულ სხვა-და-სხვას გაიძახით, ერთი მეორეს უმტყუნებთ—ჩვენ რა ვქნათ, რომ ვეღარა გავიგეთ რა; მაგრამ ეჰ, იმ თავითვე, ძველადვე ასრე ყოფილა ქართველების ხასიათი. მეფემ თურმე ეჭად გაუგზავნა ხონთქარს ორი გამოჩენილი ქართველი თავადიშვილი: ერთი მ—ავი და მეორე ამ—ორი; ერთად რომ ნახა, ხვანთქარს ორივე ძალიან მოეწონა, მაგრამ ცალ-ცალკე რომ შეიყვანა და გამოჰკითხა, მ—ავა ა—რს

ლი არა თუ არა ზრუნავს სკოლაზე, არც ერთხელ აქ ფეხიც არ შემოუდგამსო. ამ სიტყვების შემდეგ საზოგადოებაში თანაგრძობის ძახილი გაიშმა. ბევრმა სთქვა: „პროტოკოლი, პროტოკოლი შევადგინოთ, ყველამ ხელი მოვაწეროთ!“ მაგრამ რაკი ხალხი იშლებოდა, სიტყვიერად მწუხარების გამოცხადებით დაქაჯოფილდნენ.

შინაური ქიზნიკა

== ბუშინ, აპრილის 27, დაიწყო საზოგადო წლიური კრება თბილისის საადგილ-მამულო ბანკისა. პირველდღეს დაესწრო 81 წევრი: კრებამ დაამტკიცა წარსულის წლის ანგარიში. დაწერილებით ამ კრების ამბავს შემდეგ დავბეჭდავთ

== აპრილის 24-ს ფილოქსერის კრებამ მოისმინა აგრონომის ხოჯაევის მოხსენება მასზედ, თუ რა ზომები უნდა იხმაროს კომიტეტმა, რომ სრულდებით მოსპოს ფილოქსერა. სხვათა შორის, ბ-ნი ხოჯაევის აზრით კომიტეტმა უნდა იქონიოს მხედველობაში ის საყურადღებო მოვლენა, რომ ფილოქსერა ისეთს ზიანს ვერ აძლევს ვაზებს რუსეთში, როგორც სხვა ქვეყნებში, მაგ. საფრანგეთში, გერმანიაში და ავსტრო-ვენგრიაში.

ბ-ნი ხოჯაევი შესაძლებელად სთვლიდა სხვა-და-სხვა რადიკალურის ზომებით სრულდებით მოსპობას ფილოქსერისას. ამის შემდეგ ბ-ნმა სტრუვემ წაიკითხა რეფერატი, სადაც ის აზრი გაჰყავდა, რომ რადიკალური განადგურება ამ ვაზის მტრისა შეუძლებელია;

ბ. დაუძახა, ამ—რმა მ—ავს ძ. მეორე დღეს მეჯლისში ხვანთქარის ბძანებით ა—რს თივა დაუდგეს წინ და მ—ავს ლეში. ხვანთქარმაც თურმე ასე ბძანა მაშინ:

— ნურც გიკვირსთ და ნურც გეწყინებათ; მე ვალდებული ვარ ისე გცეთ პატივი, როგორც თქვენ გეკადრებათო. ბუშინ ა—რმა დამარწმუნა მ—ავზე, ის ძ—ო, მ—ავმაც დამიმტკიცა, რომ ა—რი ხ—ო, და რადგანაც ხარს თივა უყვარს და ძალს ლეში—მათი საკადრისი სხვა მეც ველარა მოვიგონე-რა.

ეს ამბავი ეგება ტყუილიც იყოს, მაგრამ მაშინდელს ხასიათზედ კარგად არის ნათქვამი და რა ექნათ; ძველებიც ასე ყოფილან და ახლებიც ასე ხართ. თვითოეული ყველა ძალაა და ორ-ორი კი ერთმანეთს ასუსტებენ. ახლა დაგიჩინათ, რატომ ღირსეულსა და კარგს არ აირჩევთ, რაკ ვიცით, დალოცვილებო, ვინ არის კარგი. სიტყვით ყველა კარგია, რიგი რას ამბობს და რიგი რას!

— ძი, ბატონო, მაგრამ საზოგადო საქმის დროს სიტყვის აყოლა დიდი შეცდომა არის. თუ რომ გინ-

ბევრი მაგალითია, რომ საზოგადოება ვერ გამოიმდგურს ათას-გვარი ზომები ფილოქსერის წინააღმდეგოდა ამიტომაც ურჩევდა კრებას ამერიკულის ვაზების წარმოებას, რომელსაც ფილოქსერა ვერას აკლებს. რეფერატმა გამოიწვია დიდი ბაასი ბ-ნი ღანილევისისა და სტრუვეს შორის. პირველი ამტკიცებდა უსარგებლობას ამერიკის ვაზებისას, და ბევრი ფაქტებიც მოიყვანა თავის აზრის დასამტკიცებლად. ბოლოს თავმჯდომარემ განიხილა: როგორ ჰსურს კრებას: რადიკალური ზომები იქმნეს მიღებული ფილოქსერის წინააღმდეგ, თუ ამერიკის ვაზების წარმოებას შეუდგეს. კრებამ ერთხმად მიიღო, პირველი საშუალება.

ბუშინ-წინ, 26-ს, კრებამ მოისმინა აგრონომის პანაოვის მოხსენება, ფილოქსერის საქმის მდგომარეობაზე ჩვენში. სხვათა შორის, ბ-ნმა იწინააღმდეგა მოახსენა კრებას, რომ ჩვენში არ არის არც ერთი სამეურნეო სკოლა და ამისათვის ურიგო არ იქნებოდაო, რომ კრებამ იშუამდგომლოს მინისტრის წინაშე ამ გვარი სკოლის დაარსებისათვის. კრებამ ერთ ხმად მიიღო ეს საყურადღებო და საჭირო წინადადება.

== ძახეთის ზოგიერთს სოფლებს (ჩალაუბანს, ბაკურცინეს და ამათ ახლო-მახლოებსაც) სწვევიათ დაუძინებელი მტერი ძახეთისა სეტყვა. ბედის წერაზეა ჩვენი ვენახებიო—გვეწერენ ძახეთიდან,—ყოველს წამს მოველით მათს განადგურებასაო.

== შარშანდელს აქეთ ყვავილმა საქართველოს ბევრი კუთხეები დააზარალა და განსაკუთრებით ძუთაისის

დათ შეიტყუათ, ასარჩევი პირი კარგია თუ ავი, თქვენ მისი ნამოქმედარი ნახეთ, ასწონეთ, დააფასეთ და ისე გადასწყვიტეთ, თორემ ენისა და კუჭის აყოლა ჩვენ ხეიოს არ დაგვაყრის.

ამ გვარი საუბარი რომ შექონდა გახურებული—ერთმა ვინმემ ჩამოგვიარა ღილინით:

მინც რა უნდა თქვას—
საღვინემ კი ფქვას,
თავი ახლონ
სუყველამ შეე-ქვას

—
თქვენ ვინ რას გკითხავს,
რად იწუხებთ თავს,
ჩვენ ისე ვსწირავთ,
როგორც გვიწირავს.

—
ახლანდელ დროში
აღმართს ხნავს ძალა
ჰკუთა ხაშია
ბრძნობა არტალა

ტრა-ლა-ლა-ლა-ლა ტრა-ლა-ლა-ლააა!!

ყა-წყა-ყა